AGL

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

18.02.2022 Ref: 18/02-22

გაცნობებთ, რომ შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ახორციელებს „სხალთა ჰესი“-ს ქვესადგურის „შუახევი ჰესი“-ს ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს. პროექტი ხორციელდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის 20 აპრილს გაცემული N26 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 21 აპრილის ბრძანება №2011).

ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პროცესში კვლავ გამოვლინდა გარკვეული შესწორებების საჭიროება, რაც განპირობებულია სხალთა-შუახევის 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის და ამავე დერეფანში მშენებარე ახალციხე-ბათუმის 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ანძებს შორის შეუთავსებლობით, კერძოდ რამდენიმე მონაკვეთზე დარღვეულია ანძებს და სადენებს შორის საჭირო უსაფრთხო მანძილები და შესაბამისად საჭირო გახდა ანძების განთავსების ადგილების მცირედი ცვლილება. გამომდინარე აღნიშნულიდან, საბაზო პროექტში შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილებები.

წარმოგიდგენთ, „სხალთა ჰესი“-ს ქვესადგურის „შუახევი ჰესი“-ს ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- „სხალთა ჰესი“-ს ქვესადგურის „შუახევი ჰესი“-ს ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიში -1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის გეოგრაფიული კოორდინატები (საბაზო პროექტის და საპროექტო ცვლილებების მიხედვით) Shp- ფაილების სახით, CD დისკზე;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

რაკეშგოვინდ ნაიკი

უფლებამოსილი წარმომადგენელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 3321
21 02 22
1/CD

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (ს.კ 404401438)
იურ. მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ., N129, ბლოკი „ბ“, სართული 3, კომერციული ფართი N8
ელ.ფოსტა: info@agl.com.ge
ვებ-გვერდი: www.agl.com.ge